ოთხშაბათი, აგვისტოს 13 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 148

# ჩვენი ქვეყანა

წელიწადი მესამე.

**რედაქცია**

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**კანტორა**

**გაზეთის ფასი;** ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 50 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ქუთაისის პირველი გიმნაზიის ინსპექტორი სისო ნესტორის ძე და მარიამ იოსების ასული ღოღობერიძეები გულ დამწვარნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს რომ ცემში გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი შვილი

**მაიკო**

რომლის დაკრძალვა მოხდება პატარა ჯიხაიში. 1—1.

**ჩხარის უ. დ. სასწავლებელში თავისუფალია**

სამი ადგილი საზოგადო განათლების საგნების მასწავლებლისა. ცხოვრება ჩხარში თითქმის ორჯერ იაფია, ვიდრე თფილისში ან ქუთაისში და თან საუცხოვო ჰავა. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: ჩხარი. უმაღლეს დაწყ. სასწ. გამგეს.
3—2

ჭიათურის შავი ქვის მრეწველების აქციონერთა საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ 30 აგვისტოს 1919 წლისა, დღის 12 საათზე ჭიათურაში დანიშნულია

აქციონერთა საზოგადო

**კრება.**

განსახილველი საკითხებია: 1) მოხსენება საზოგადოების გამგეობისა მისი მოქმედების შესახებ და განხილვა საკითხებისა, რომელნიც მოხსენებიდან გამომდინარეობს;

2) მოხსენება საზოგადოების წესდების შეცვლისა და დამატების შესახებ.

და 3) ხარჯთაღრიცხვა 1919 წლისა. 3—2

მუშაობს ჰმ. ქორქოლაძის ხრესილის სამკურნალო **აბანო**
იშოვება სუფთა ბინა, სასმელ საჭმელი.

ქუთაისიდან გადასვლის გამო საბოლოოდ ხდება

**ლიკვიდაცია**

ვაჭრობა იქნება მხოლოდ 13 და 14 აგვისტოს. იშოვება ფოლაქები, თესმა, ლენტები, სხვა და სხვა ძაფები, საყელოები, ღალსტუკები და ტყავის სანდლები როგორც ვაჟებისათვის ისე ქალებისათვის. ქარვასლის ქუჩა გიმნაზიის შესავალის პირდაპირ. მაღაზია „უნივერსალი“.

დათიკო ქებაძე აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ: ქუთაისის სავაჭროში მაქვს

**პატარა ნაჭრები საპონი,**

საუკეთესოა ხელის საბანათაც დ სარეცხისთვისაც
2—1.

**ექიმი** ვ. ი. **მაჭავარიანი.** იღებს სანებიო, ქალთა საშარდე მილის და ვენერიული სნეულების ავადმყოფებს (სისხლში შეშხაპუნება 606 და 914) ყოველ დღე დილის 9—12 საათ. საღამოს 6—8 საათ.
**მისამართი:** რესპუბლიკის ქ. საკუთარი სახ. ფოსტის გვერდით. 24—4

**ექიმი ბოკერიას**

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავადმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავადმყოფების მიღებაც სწარმოებს.

**დათიკო ქებაძე**
აცხადებს კოოპერატივების საყურადღებოთ მაქვს,
**საპნის გასაკეთებელი სოდა**
ხელ მისაცემს ფასებში 3—1.

## ქუთაისის ეროვნის ყრილობისათვის.

ქუთაისის სამაზრო ერობის ყრილობის სხდომები დასრულდა.

მე ასეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე.

რომ ამბობდენ, საქართველო თვითმართველობისთვის ჯერ მოუმზადებელიაო, მართალი არ არის.

იმისდა მიუხედავად, რომ მთავრობის საერთო პოლიტიკა ხელს უშლის საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიურ აღორძინებას, მაინც გაცილებით მეტი გაკეთებულა იმაზე, რაც წინეთ კეთდებოდა.

მარტო ის რად ღირს, რომ ქუთაის-ხონი-სამტრედიის რკინის გზის გაყვანა სულ მალე განხორციელდება!

ასეთი სამკურნალო დახმარება ჩვენს სოფლებს წინეთ სიზმარშიაც კი არ მოეჩვენებოდა!

მართალი უნდა მოგახსენოთ, გამგეობის თავმჯდომარემ კ. სულაქველიძემ დიდი ინიციატივა და ენერგია გამოიჩინა.

სამწუხაროდ, როგორცა ვთქვით, საქმეს მთავრობის საერთო პოლიტიკა აბრკოლებს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, რაც გაკეთდა, ასი იმდენი გაკეთდებოდა.

ვერ მოეწყო, მაგალითად, სარწყავი არხების გაყვანის საქმე. ერობის გამგეობამ, კაი ხანია, წარადგინა სამიწათმოქმედო სამინისტროში კანონპროექტი სარწყავი არხების გაყვანისათვის სათავადაზნაურო ბანკების სამელიორაციო ფუნქციების საშუალებით, მაგრამ ვინ არის ყურის-მგდებელი?!

ერობის თავმჯდომარემ ყრილობაზე გულწრფელად განაცხადა:

საერობო საქმეებისათვის მთავრობასთან მოლაპარაკება და კოწიაწი—ტანჯვა—წამებაა!

მაშ ჩვენის საკუთარი საქმეების გამო ჩვენს საკუთარ მთავრობასთან ლაპარაკი ტანჯვა-წამებად გაგვხდომია!

ვაი ჩვენი ბრალი ამისთანა მთავრობის ხელში!

შარა-გზები და ხიდები მთლად განადგურებულა და მათს გაკეთებას, ვინ იცის, რამდენი მილიონი დასჭირდება!

გამგეობის თავმჯდომარემ განაცხადა: ერთდროული გადასახადის გადახდევინება ნოემბრამდის არ იქნებაო.

ცხადია, ასეთი დაგვიანება და გაჭიანურებაც მთავრობის ბრალია: გადასახადი დროზე არ დააკანონა.

მეორე მხრით გადასახადების არ გადახდევინება ფულის ფასს აქარწყლებს და საშინელს ფინანსიურ კრიზისსა ქმნის!

არ არის გაუმჯობესებული ჯიშის ხვადაგის პუნქტები.

ვერ გამოვიყენეთ ჩამორთმეული მამულები სადღელ მინდვრებად.

ვერ განვახორციელეთ საყოველთაო სწავლება.

ჩვენი ქვეყანა—კურორტების ქვეყნად იქნებოდა, პატრონი რომ ყოლოდა.

აბა თუ სადმე გაკეთებულა სანატორიუმი ან კურორტი?!

სოფელი სიბინძურეშია ჩაფლული. და აბა თუნდ ერთი სასოფლო აბანო თუ სადმე გაკეთებულა?!

და ვერც გაკეთდება, ვიდრე ასეთი სიძვირე იქნება, ე. ი. ვიდრე მთავრობის პოლიტიკა არ შეიცვლება.

მაშ ერთხელ კიდევ დავინახეთ, რომ საერობო საქმეები მთავრობის მიერ წარმოებულ საერთო პოლიტიკასთან არის მჭიდროდ გადაბმული.

და ცხადია: ვიდრე ჩვენს ქვეყანას [illegible] პოლიტიკის მიერ ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლება არ აშორდება, მანამდის ვერც საერობო საქმეები მოეწყობა.

ვასილ წერეთელი.

## საქართველოს საზღვრებისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობას ბევრი მტერი ჰყავს.

ჩრდილოეთის მოსაზღვრე რუსეთის ვერც მემარცხენე და ვერც მემარჯვენე წრეებს ვერ მოუნელებიათ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა. მათ ცალ-ცალკე სცადეს კიდეც დამოუკიდებელ საქართველოს განადგურება, და რომ ქართველი ერის პატრიოტიზმი არა ლამის მიზანს მიაღწიეს.

სამხრეთით მოსაზღვრე სომხეთის სახელმწიფო, პატარაა თავის რეალურ ძალებით, მაგრამ იგი საქართველოს საწინააღმდეგო ბნელი ზრახვებით დიდ რუსეთსაც კი აჭარბებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, რომელმა თავის უპირველეს მიზნად დაისახა, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა. მანაც მოასწრო საქართველოს წინააღმდეგ უხეშ იარაღის აღმართვა, ისარგებლა ჩვენი ნდობით მალულად თავს დაესხა ჩვენს სადარაჯოს და გათამამებული ლორე-ბამბაკის მაღლობებიდან დაეშვა და საქართველოს დედაქალაქის აღებაც კი განიზრახა.

აქაც ქართველი ერის ფიზიკური არსებობა მისმა მძლეთა-მძლეველმა პატრიოტიზმმა იხსნა, უღირს მტერთა—ჰაიასტანელთა განადგურებისაგან.

მესამე დაუძინებელი ისტორიული მტერი ქართველი ერისა—ეს ოსმალეთია.

ჯერ არც შობილიყო საქართველოს დამოუკიდებლობა, რომ დროებით წათამამებულმა ოსმალეთმა თავისი მოწამლული ხმალი საქართველოსაკენ მოჰმართა, აქ სუსტი აღმოჩნდა უეცრათ გამოღვიძე-

ბული ქართველი ერის პატრიოტიზმი, ქართველი ერი დამარცხდა, მან სამარცხვინოთ დასტოვა თავისი უძვირფასესი ნაწილი ბათუმის ოლქი, და რომ გარეშე მადლიანი ხელი არა, ლამის განადგურდა მისი ფიზიკური არსებობა.

აი ჩვენი გარეშე მტრები.

ერთი წლის განმავლობაში ყველამ სცადა საქართველოს დამოუკიდებელ არსებობის მოსპობა, და საქართველომაც შესაფერისი პასუხი გასცა მათ ბნელ გულისთქმით. დღეს მათ არ სძინავთ, განსაკუთრებით რუსეთსა და სომხეთს, მათ ყელზე ადგებათ ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა, მათი შურიანი თვალები ალმაცრივ უყურებენ საქართველოს მტერთა მძლე თეთრი გიორგის ღერბს, მთელი მათი ენერგია უქმელია, იმისათვის მზადდება, რომ ოდესლაც დრო იხელთონ და თავის დამოუკიდებელ არსებობის მოყვარულ ქართველ ხალხზე შური იძიონ.

აი ასეთია ქართველი ერის დღევანდელი და მომავალი მდგომარეობა და ამას სათანადო შეფასება უნდა.

საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ მთელი თავისი არსებით უნდა შეიგნოს ქართველი ერის მოსალოდნელი ხიფათი, და ყოველი მისი ნაბიჯი სახელმწიფოს აღმაშენებლობის დროს გადადგმული, ერის ასეთ მდგომარეობას უნდა შეეფერებოდეს. საქართველოს მთავრობამ ერთ წუთსაც არ უნდა დაივიწყოს, რომ საქართველოს დაუძინებელი მტრები ემზადებიან მისი დამოუკიდებლობის მოსასპობათ და იგიც თითქმის მთელ თავის ენერგიას იმას უნდა ამღომებდეს, რომ ამ მოსალოდნელი თავდასხმისაგან გადაარჩინოს. ამისათვის კი საჭიროა ჯარი და ბუნებრივი სამზღვრები.

ჯარის მოწყობაში ჩვენი მთავრობა სუსტობს, იგი ჯარს დროებითი დაწესებულებათ სთვლის.

მთავრობა ვერ არის მტკიცე, საზღვრების დაცვის დროსაც იგი ღირსეულათ არ აფასებს საქართველოს საზღვრების მნიშვნელობას. მთავრობის ზოგიერთმა წევრებმა [illegible] სიტყვა „[illegible]ლიდარობაზე“ დაც კი გასცვალონ საქართველოს ისტორიული კარი-ბჭე.

როგორც ვიცით საგარეო საქმეთა კომისიაში დაისვა ლორე-ბამბავის საკითხი. უბრალო სოფლელ გლეხისათვისაც კი, რომელსაც უნახავს ლორე ბამბაკი, ცხადია ამ ადგილების უაღრესი მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობისათვის.

ჩვენი წინაპრები ღირსეულათ აფასებდნენ ლორე-ბამბაკის მნიშვნელობას, და თითქმის მე 10 საუკუნიდან იქ იდგა საქართველოს სამხედრო მინისტრი მთავარსარდალი.

ორი თვალუწვდენელ ძნელათ გადმოსავალი ბამბაკისა და ერევნის მთები ორმაგი ბუნებრივი დამცველი ზღუდეა საქართველოს სახელმწიფოისა უამმთებოთ საქართველოს არსებობა ყოველ-წუთს ხიფათში იქმნება. ჯერ ამ ბუნებრივ სიმაგრეთაც ვერ შეუჩერებია სომხების ბნელი ზრახვანი, და რაღას იზამენ, რომ ბედმა გვიმუხთლოს და ეს მთები საქართველოს შამოერღვეს.

შემოღლვეული საქართველო და ორმოცდა ხუთი ვერსი ველი საქართველოს დედა/ქალაქამდე დიდად ხელსაყრელი პირობებია, სომხების ბნელ ზრახვათა განსახორციელებლათ.

ვინც ღვარძლიან სომხების გულისთქმას ოდნავ მაინც იცნობს, ის უნდა ცდილობდეს მესამე ხელოვნური ზღუდე აღმართოს მათსა და ჩვენ შორის; რომ ამით თავიდან აიცდინოს ქართველ ერს არა სასურველი სისხლის ღვრა.

მაგრამ ჩვენდა სავალალოთ ზოგი ქართველი პოლიტიკოსი ასე არ ფიქრობს მათ სისხლის ღვრის თავიდან ასაცდენათ საჭიროთ მიაჩნიათ ამ ისტორიული მიდამოების დათმობა. ასე ფიქრობენ ხსენებულ კომისიის წევრნი ბბ. გ. გეგეჭკორი და ს. ფ. ერთ ერთ ლიდერთაგანი ს. მდივანი.

პირველი ცნობილი თავის გადამლაშებულ ინტერნაციონალისტობით. მისი საგარეო მინისტრათ დანიშვნის დროს ტყუილათ არ აღივსნენ სომხეთა გაზეთები მისი ქებათა-ქებით. სჩანს ისინი არ მოსტყუილებულან. დღეს მათი მესია მათთვის ღირსეულ საჩუქარს ამზადებს.

მეორე მათგანი ბატ. ს. მდივანი საქართველოს ცნობილი, დიპლომატიური წარმომადგენელი ერევნის მთავრობასთან, რომელმაც ფიცი დასდო კარჩიკიანის ცხედრის წინ მისი მაგიერობა გაეწია დიდი სომხეთის აღდგენის საქმეში. სჩანს ფიცს ღირსეულათ ასრულებს. დიდი სომხეთისათვის აუცილებელია ლორე ბამბავი.

ასეთი განზრახვა ამ ორი ინტერნაციონალურ პიესის გმირისა შეურაცმყოფელია ქართველი ერის უფლებებისა და ღირსებისა, ეს აბუჩათ აგდებაა ჩვენი წარსულისა და მომავლისა, ეს შეურაცყოფაა ამ მთების კალთებზე დახოცილ ქართველთა სისხლისა.

ქართველმა ხალხმა რომელმაც ისინი აირჩია, უნდა შესძახოს ამ გმირებს: „შესდექით კმარა ქართველი ერის უფლებისა და ღირსების შელახვა“.

ელ. პატარიძე.

## გაზეთი „მესაჟე და ათენი“ საქართველოს შესახებ.

გაზეთი „მესაჟე და ათენი,“ რომელიც გამომხატველია საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკისა შემდეგს სწერს:

„საგარეო საქმეთა მინისტრმა დირმიდისმა გუშინ წინ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის, დიპლომატიური მისია ეს პატარა სახელმწიფოა—მეტად ძველი და ამავე დროს მეტად ახალგაზრდა, რადგანაც მისი აღმოცენება ეკუთვნის ჯერ კიდევ პრომეთეს ხანას და მისი აღორძინება ეხლანდელ სახით, ჯერ ორი წელიწადიც არაა რაც მოხდა - და ამ სახელმწიფოს სურს აღადგინოს საბერძნეთთან ძველი ურთიერთობა და იმედი აქვს, რომ [illegible] მისიის მოლაპარაკებამ საგარეო საქმეთა მინისტრთან და ყველა ოფიციალურ და არა ოფიციალურ პირებთან ნება მისცეს მას ეღიარებინა, რომ ეს სიმპატიები უკვე მოპოებული აქვს ახალგაზრდა რესპუბლიკას. ბერძნის ხალხს, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძოდა და მისცა სიგნალი ემანსიპაციისა აღმოსავლეთში, არ შეუძლია ივაჭროს მეგობრობისათვის მათთან, რომლებიც იბრძოდნენ ამავე საქმისთვის. რაც შეეხება კომერციულ ურთიერთობას, ისინი არსებობენ. მხოლოდ საჭიროა, რომ ისინი განმტკიცდეს“.

შემდეგ იგონებს რა წინადროინდელ ურთიერთობას ძველ საბერძნეთსა და კოლხიდას შორის, მოკლედ აღნიშნავს რა საქართველოს ისტორიას, გაზეთი დიდი სიმპატიით ლაპარაკობს თანამედროვე საქართველოს შესახებ, მის ეხლანდელ სახელმწიფოებრივ წყობილებაზე და იმ როლის შესახებ, რომელიც გაზეთის აზრით, უნდა ითამაშოს საქართველომ კავკასიაში და ათავებს სტატიას შემდეგი სიტყვებით: „აქ არის ნიშნები და ტენდენციები, რომლებიც სერიოზულ ყურადღებას საჭიროებენ. ამ პატარა ეთნიურ ჯგუფებს, ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ეს სთქვა ომის დასაწყისში ასკვიტმა, დაიჭირონ ადგილი მზის ქვეშ, როგორი უფლებაც აქვთ დიდ ხალხებს. მათ აქვთ უფლება ერთმანეთს დაუახლოვდნენ, თანახმად თავის სიმპატიებისა. აძლიერებენ და იცავენ რა მათ, დიდი სახელმწიფოები აძლიერებენ თავის თავს ყოველი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საიდანაც არ უნდა გამოჩნდეს ის“.

—

„საქართველოს დელეგაცია“.

ამ სათაურით ბერძნულ გაზეთ „ნეა ელლდას“-ში მოთავსებულია წერილი საქართველოს დელეგაციაზე. მოგვყავს წერილი მთლიანად:

„გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი დიომუდისი ინახულა აქ ჩამოსულმა საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა, რომლის ჩამოსვლის მიზანიც იყო ელინთა მთავრობა და ელინთა საზოგადოებისათვის გაეცნო საქართველოს მდგომარეობა და იმუშაოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის.

ვსარგებლობთ რა ამ შემთხვევას საჭიროდა ვსთვლით ამ ქვეყნის აღორძინებაზე რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ.

საქართველო არის პატარა, მართლმადიდებელი ქვეყანა კავკასიაში საშუალო საუკუნეებში საქართველო განუწყვეტლივ ეომებოდა მაჰმადიანთა ურდოებს და ბიზანტიის და ტრაპიზონის დაცემის შემდგომ მისი მდგომარეობა გართულდა ოსმალთა და სპარსთა ბრძოლებით გარშემორტყმული იგი თანდათანობით სუსტდებოდა არა თანასწორ ბრძოლებში და დამონების შიშის ქვეშ მყოფნი იძულებულნი იყვნენ რუსეთისათვის ეთხოვათ დახმარება. ბოლოს 1783 წლის ხელშეკრულებით კიდეც შეუერთდნენ. ამ ხელშეკრულების ძალით საქართველოს ენიჭებოდა თვითმართველობა და ეროვნული თავისუფლება.

მაგრამ ეს ხელშეკრულება ჩქარა გაუქმდა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ძლიერის სასარგებლოდ და საქართველო გადაიქცა რუსეთის უბრალო პროვინციად. ამის შემდეგ ქართველი ხალხი სცხოვრობდა მხოლოდ მომავლის იმედით და თავისუფლების მოყვარე ერთა მხარემ მაინც მიიღო მონაწილეობა ამ ყველას დამმაზარალებელ ომში და სხვა და სხვა ბრძოლის ველზე 200.000 საუკეთესო შვილი გაგზავნა რომელთა უმეტესი ნაწილი გერმანულ — ოსმალურ იმპერიალიზმთან ბრძოლაში დაიღუპა.

ამის შემდეგ მოხდა დიდი რუსეთის ტრაგედია რომელთა შედეგები სხვა დაძინებულ ხალხთა შორის საქართველოსაც მოეცხო.

უმნიშვნელოვანეს ტრაგიკულ მდგომარეობის დროს 1917 წ. რუსეთის ოქტომბრის გადატრიალების და ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების დროს საქართველო მხოლოდ ერთად-ერთი იყო, უსუსური და მოუწყობელი რუსეთის ჯარმა საქართველოს ფრონტი მიატოვა და ოსმალთა ჯარი კი შემოსევით ემუქრებოდა. მაქსიმალიზმის მიერ შექმნილი ქაოსი მთელს ქვეყანას მოედო. მეფობის დროის პოლიტიკის შედეგი—საერთო დეზორგანიზაცია საქართველოს ხალხის ფიზიკურ არსებობას ემუქრებოდა.

ქართველმა ხალხმა გაიგო რომ არავისგან არ უნდა ელოდეს შველას და რუსეთის ჯარის თავისი ნებით წასვლის შემდეგ 1918 წ. მაისის 26-ს გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მძიმე შინაურ და გარეშე პირობებში მოჰკიდა ხელი ქართველმა ხალხმა სახელმწიფოს აღმშენებლობას.

ოსმალებმა ყარსი და ბათომი დაიჭირეს, ანარქია მეფობდა ქვეყნად. მთავრობამ რომელმაც აიღო ხელთ ამ საშინელების დაძლევა, შესძლო სულ მოკლე ხანში წესრიგის აღდგენა და მტრის შემოსევის შეჩერება. მან შესძლო მოეწყო სამართალი, ადმინისტრაცია და განევითარებინა ეკონომიური ცხოვრება. დღეს საქართველოს ჰყავს საკუთარი მუდმივი ჯარი და დამფუძნებელი კრება. ჰყავს საკუთარი მთავრობა რომელიც დამფუძნებელ კრების წინაშე პასუხისმგებელია.

უმცირესობა და უმრავლესობა ერთი და იგივე უფლებებით სარგებლობს.

ამ პირობებში საქართველო იმედით უყურებს მომავალს და იმედი აქვს რომ ყველა თავისუფალი ერი მის თავისუფლებასაც მხარს დაუჭერს.

## ქართველები რუსეთში.

ჩვენს გაზეთში უკვე მოთავსებული იყო ცნობა, რომ თერგის ოლქის და ზოგიერთ სხვა კუთხეებში ქართველები ვალდებულნი გახადეს მიიღონ სამხედრო ბეგარა. ეხლა ვბეჭდავთ დონის ატამანის ბრძანებას ამავე საკითხის შესახებ.

[illegible]

როსტოვის მხარის [illegible] ჯარებისადმი.

ქ. ნახიჩევანი დონზედ 12 ივლისი 1919 წ.

№ 182. სამხედრო ნაწილი.

№ 1.

თანახმად სამხედრო და საზღვაო განყოფილების გამგის ბრძანებისა, სამხრეთ-რუსეთის ყველა მკვიდრი მცხოვრები გაწვეულ უნდა იქმნენ ჯარში.

ამ ბრძანების აღსასრულებლად, ყველა ქართველებს, რომელნიც გადმოსახლდენ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ტერიტორიაზედ 1914 ს. 1-ლ იანვრამდე და ამ ჟამად სცხოვრობენ როსტოვში, ნახიჩევანში, ანახოვში და დაბადებულან 1871—1900 წლამდე, უბრძანებ გამოცხადდენ მისაღებ პუნქტში 15 ივლისს დილის 9 საათზედ.

ყველა ქართველთ, დაბადებულთ 1884 წ., რომელნიც სცხოვრობენ სოფლებში, სტანიცებში, უბრძანებ გამოცხადდენ მისაღებ პუნქტში 20 ივლისს დილის 9 საათისთვის.

ამ ბრძანებაში აღნიშნულ ვადებიდან, ყველა ქართველნი, რომელნიც ზემოდ აღნიშნულ წლებში არიან დაბადებულნი, სამხედრო სამსახურისათვის ვალდებულად ცხადდებიან და თუ არ გამოცხადდებიან, დასჯილნი იქნებიან სამხედრო კანონების მთელი სისასტიკით.

საოლქო ატამანი: გენ.-მაიორი.

ჟუჩენკოვი.

## უკრაინა წინააღმდეგია რუსეთთან კავშირის.

„უტრო იუგა“ იტყობინება, რომ ყუბანის დელეგაციის წევრმა დოლგოპოლოვმა, რომელიც პარიზიდან დაბრუნდა განაცხადა, რომ ბიჩმა ისევ ითხოვა დამოუკიდებელი ყუბანის აღიარება და ხალხთა ლიგაში მიღება, როგორც თანასწორი წევრის. უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარეს სიდორენკოს აგრეთვე წარუდგენია საზავო დელეგაციისათვის მემორანდუმი, რომელშიდაც იგი ითხოვს უკრაინის სრულს დამოუკიდებლობას და სხვათაშორის აცხადებს რომ თანახმად ერის გამოთქმულ დავალებისა იგი აცხადებს, რომ უკრაინას არავითარი ფედერატიული კავშირი არ სურს არც დემოკრატიულ, არც რეაქციონურ და არც საბჭოთა რუსეთთან.

## სომხეთი და აზერბაიჯანი თანახმაა კონფერენციის სხდომები განაახლონ.

იმ წინადადებაზედ. ამიერ-კავკასიის კონფერენციის სხდომების განახლებისათვის, რომლითაც მიმართა საქართველოს მთავრობას აზერბაიჯანის და სომხეთის მთავრობამ, გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ ნმა გეგეჭკორმა შემდეგი პასუხი მიიღო:

საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს—ერევნიდან 8 აგვისტოს 1919 წ.

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა, გრძნობს რა სერიოზულ მომენტს და სდგას რა იმ თვალსაზრისზედ, რომ ყველა სადაო საკითხები შეთანხმებით უნდა გადასწყდენ, სავსებით უერთდება თქვენს წინადადებას, რომ ამიერ-კავკასიის კონფერენციის სხდომები კვლავ განვაახლოთ, რისთვისაც მან თავისი თანხმობა გასცა ჯერ კიდევ 30 ივლისს, თავისი დეპეშით ევანგულოვის სახელზედ № 3120 აგვისტოს 8.

საგარეო საქმეთა მინ. ხატისოვი.

—

საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს ბაქოდან 8 აგვისტოს, 1910 წ.

№ № 5559 და 5581-ზედ ამით ვაცნობებთ, რომ მთავრობა ყოველთვის ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრაფოდა ამიერ-კავკასიის ერთა მშვიდობიან ცხოვრებისათვის და სადაო საკითხების მშვიდობიანად გადასაწყვეტად; ამ მიზნით მან, ჯერ კიდევ ივლისის დასაწყისში გამართა მოლაპარაკება სომხეთის წარმომადგენელთან, დროებითი საზღვარის ხაზის დასამყარებლად. ვცნობთ რა დღევანდელ მომენტს ფრიად ამიერ-კავკასიისათვის სერიოზულად, ვაცხადებთ ჩვენს თანხმობას კონფერენციის მუშაობის განახლებისათვის. № 2455.

საგარ. საქმ. მინისტრი **ჯაფაროვი.**

# იაპონია და რუსეთი

იაპონიის ფრიად გავლენიან გაზ. № nokhil-ის რედაქტორმა ბ. სიოიენმა პარიზში ჟურნალისტებს განუცხადა რომ ის ღრმად დარწმუნებულია იაპონიისა და რუსეთს შორის მტკიცე კავშირის დამყარებაში.

მხოლოდ შეთანხმებული იაპონია და რუსეთი შესძლებენ დაამყარონ წესრიგი აზიაში და შეაჩერონ ბოლშევიკური მოძრაობა ჩინეთში.

იაპონიას შეუძლია აღმოუჩინოს რუსეთს დაუყონებლივი ფინანსიური დახმარება და სახელმწიფო ან კერძო სესხის მიცემით.

რაც შეეხება სამხედრო დახმარებას ] სიოიენის ახსნით, რუსეთისათვის უკვე საჭირო აღარ არის.

ლონდონის გაზეთები სწერენ, რომ იაპონიისათვის, ფრიად ხელსაყრელი შეიქმნა მოკავშირეთა მიერ კოლჩაკის ცნობა და მაინც იგი ტყუილ-უბრალოდ არ იცნო:

კოლჩაკი დაპირდა იაპონიას კონცესიები ციმბირში და მანჯურიაში, ხოლო მოკავშირენი იცნობენ იაპონიის გეგემონიას შორეულ აღმოსავლეთში და მოუპოვებენ მას მსოფლიო ბაზარს.

აღმოსავლეთის ერები, არ შეიძლება არ აღელვდენ როდესაც შეხედავენ რომ აზიელთა ჯარი აქრობს მსოფლიო რევოლუციას ეს გამოიწვევს დიდ. სკანდალს შეერთებულ შტატებში და ინგლისის პარლამენტში.

შანტუნის ისტორია ყოველ ინტერეს და დიდ მოძრაობას იწვევს ამერიკაში. ის გარემოება, რომ იაპონია არ არის პოპულიარული გახდა მიზეზი, რომ იაპონიის ელჩი ვიკონტიში იძულებული იყო დაეტოვებია ვაშინკტონი და ტოკიოში დაბრუნებულიყო. მოკავშირენი აპირობენ შეურაცყონ საუკეთესო გრძნობები, როდესაც იაპონიას ანდობენ უწინამძღვროს მათს მოკავშირე კოლჩაკს.

# ახალი ამბავი

**ქუთაისი.**

**სამოსწავლო წლის დაწყება.** გიმნაზიის უფროსებს მოუვიდათ სამინისტროდან მოწერილობა, რომ წელს განმეორებითი გამოცდები დაიწყება 8 სექტემბერს სწავლა კი სექტემბრის 15-ს.

✦ **საარხეოლოგიო კომისია.** საარხეოლოგიო კომისია, რომელიც მუშაობს ბ-ნი თაყაიშვილის მეთაურობით და ამოწმებს საეკლესიო განძეულობას, გუშინ დაბრუნდა გელათის მონასტრიდან და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლებში იმოქმედებს.

✦ **გელათის განძეულობის ხელუხლებლობა.** გელათის მონასტრის ფასდაუდებელი განძეულობა როგორც შეამოწმა ამ დღეებში განსაკუთრებულმა საარქეოლოგიო კომისიამ ყველაფერი უკლებლათ დაცულია, რაც ცხადათ ამტკიცებს, რომ ის ხმები ვითომც იქ ამ ბოლო დროს რამე დაკარგულიყო, იყო ბოროტი ენის ჭორები.

✦ **ფართლეულობა.** რესპუბლიკის მთავარ მომარაგების სამმართველომ უკვე ფასდო ხელშეკრულება საზღვარ გარეთელ „ფერუმის“ ფირმასთან დიდძალ ფართლეულ საქონლის მოწვდის შესახებ. ეს ფართლეული დანაწილდება საზოგადო დაწესებულებათა შორის და ნაწილი გაიგზავნება სოფლად პურზე გასაცვლელად.

✦ **იტალიელი ექსპორტიორები.** მთავარ მომარაგების სამმართველოში დაიწყო დენა ბევრ იტალიელ ექსპორტიერებმა, რომელნიც ძალიან დაინტერესებულნი არიან დაუახლოვონ იტალიის ბაზარი საქართველოს ბაზარს.

✦ **მანუფაქტურა საქართველოსთვის.** შავ. ზღვაზე კიდევ გამოვიდა ამ მოკლე ხანში და ბათომში გადმოიცლება მანუფაქტურით დატვირთული რამდენიმე გემი საქართველოსთვის.

✦ **ფართლეულობა და ფეხსაცმელი.** მთავარ მომარიგების სამმართველომ დაასრულა მუშაობა დიდ ხელშეკრულებაზე ფართლეულობის გამზადებულ ტანსაცმლისა, ფეხსაცმელსა და სხვა საჭირო საქონელზე სოფლის საჭიროებისათვის.

✦ **ტანთვარჯიშობა სასწავლებელში.** სწავლა განათლების სამინისტროს განუზრახავს ტანთვარჯიშობის საქმე ჯეროვან ნიადაგზე დააყენოს. ამ საგანზე სასწრაფოთ იკრიბება საჭირო ცნობები.

# გენ. ნათიევის მოხსენება

ამას წინად ჩვენ გაზეთში დაიბეჭდა გენ. რომანოვსკის მოხსენება საქართველოს წინაღმდეგ მოქმედების შესახებ. ახლა ვბეჭდავთ გენ. ნათიევის მოხსენებას:

**სამხრეთ-რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდალს.**

**არტილერიის გენ-მაიორის ნათიევისა**

(1919 წ. აპრილის. № ...

**მოხსენება**

მოხალისეთა ჯარის ძლევა-მოსილმა ოპერაციებმა ჩრდილოეთ-კავკასიაში ბოლშევიზმის ბატონობა წელში გასტეხეს და ეხლა რუსული სამ ფეროვანი დროშა არის აფრიალებული იქ სადაც ამ ასი წლისწინად კავკასიის დასაპყრობად გმირული ბრძოლა დაიწყო.

ჩრდილოეთ-კავკასიის მთიელთა ტომები მორჩილებას უცხადებენ ერთიან რუსეთის იდეიას ადგილობრივ („ტუზემნი“) სამხედრო ნაწილების მოგროვებას ბოლშევიზმის წინააღმდეგ შეერთებული მოქმედობისათვის.

სულ სხვა მდგომარეობაა კავკასიის მიმართ, რომელიც პოლიტიკურ და ტოპოგრაფიული პირობების გამო თანდათან ჰშორდება ერთიან რუსეთის იდეას.

და ამ გზაზე ის მიჰყავს დემაგოგიურ და მეტად შოვინისტურ საქართველოს მთავრობას, რაშიაც მოხალისეთა ჯარის სამხედრო ჩარევა ჯერ შეუძლებელია.

საჭიროა მიღებულ იქმნეს სასწრაფო ზომები, რომ საქმის ასეთ მსვლელობას ბოლო მოეღოს. საქართველოს მთავრობა, ჩემ მიერ მიღებულ სარწმუნო ცნობების მიხედვით, მცხოვრებთა ფართო მასსაში სრულიად არ სარგებლობს ავტორიტეტით და მისმა შოვინისტურ იდეებმა მოშხამა ჯერჯერობით მეტად განსაზღვრული წრეები და მთელი მასსა (უმთავრესად კი ინტელიგენცია ოფიცრების მეთაურობით) ყოველ წუთს მზადაა ჩადგეს რუსეთის საერთო საქმისათვის მებრძოლთა რიგებში თუ მათ ამით შესაძლებლობას მისცემენ.

ამას ერთად ერთი შესაძლებლობა კი არის მიერ კავკასიის საგანგებო „ტუზემნი“ კორპუსის შექმნა. ყველა სასურველი პიროვნებები ამისათვის სწორედ ეხლაა აჭარაში, ლაზისტანში და აფხაზეთში, რომლებმაც თვითვე განაცხადეს, რომ ისინი საქართველოს მთავრობის პოლიტიკის მომხრენი არ არიან და გამოსთქვამდნენ მტკიცე სურვილს, რომ ისინი ერთიანი რუსეთისთვის მებრძოლთა ჯგუფებში ჩარიცხონ. სევასტოპოლში ჩემი ყოფნას დროს ჩემთან გამოცხადნენ აჭარის წარმომადგენელნი პორუჩიკი ლალაევი და ჩხატუა და მთხოვეს რომ თავს მედო ორგანიზაცია რაზმისა, რომელიც 3000 კაცისაგან შესდგებოდა.

მე ამაზე მორიგ გენერალს მივწერე გენ. მაიორ ტრუხაჩევს

მას დეპეშა გაეგზავნა და მეც კავშირი დავიჭირე მოხალისეთა ჯართან არსებულ ფინანსიურ ეკონომიურ თათბირის იალტის განყოფილებასთან მიწერ-მოწერა ეხებოდა განზრახულ ჯარის ფინანსიურად უზრუნველყოფის საკითხს კომისიამ · გენ. ბარათოვის თავმჯდომარეობით საჭიროდ სცნა დახმარების აღმოჩენა და შესდგა მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ხანად არ არსებობდა სამხრეთ რუსეთის მთავარ სარდლის დენიკინის სანქცია.

ყირიმის მოულოდნელ ევაკუაციამ ყოფილ მოკავშირეებისა შესწყვიტა ამ საქმის შემდეგი მსვლელობა და მხოლოდ აპრილის 3-ს მქონდა შეძლება „დობრ-არმიის“ შტაბის უფროსს გენ. ლეიტენანტ რომანოვსკის წავრსდგომოდი და სიტყვიერად მომეხსენებინა განზრახულ ჯარის მოკრების იდეია, ჩემი პროექტი შტაბის უფროსმა სრულიად თანაგრძნობით მიიღო და გენ. ლეიტენანტი რომანოვსკი დამპირდა, რომ იშუამდგომლებდა თქვენ უმაღლესობასთან, მეკი წინადადება მომცა ამ კითხვაზე ვრცელი მოხსენება თქვენთვის წარმომედგინა.

ჩემ მოვალეობად ვსცნობ მოვახსენო თქვენ უმაღლესობას, რომ ეხლანდელი მომენტი ყველაზე მოსახერხებელია მოხალისეთა ჯარის ამიერ კავკასიის „ტუზემნი“ კორპუსის შესადგენად, რადგან ქართული პოლიტიკის კურსი აშკარად გადიხარა ბოლშევიკებისაკენ.

უკმაყოფილოა რიცხვი იქ აზრდება მაგრამ არა აქვთ შეკავშირების შეძლება და ჩვენის მხრით დახმარებას მოკლებული იძულებული იქნება ან დაფანტულად იბრძოლოს და სრულიად მიიჩქმალოს რასაც ალაგი აქვს ყველგან სადაც კი ბოლშევიზმი მძვინვარებს.

შავი ზღვის გუბერნია რომელიც იმყოფება მუდმივ აღელვების სფეროში არ წარმოადგენს მოსახერხებელ ალაგს ამ ნაწილების მშვიდობიან შესაკრებად. ინგლისის გავლენის ქვეშ მყოფი ბათომი და ტრაპეზონის ოლქი კი მეტად მოხერხებულია ამ საქმისათვის, რადგან უშუალოდ საქართველოს ეკვრიან. ინგლისის სარდლობა რომლისთვისაც ბოლშევიზმი სრულიად არ არის სახეირო ამ მხრივ უნდა დასთანხმდეს და მოხალისეთა ჯარის მთავარსარდლობასთან შეთანხმებით ალბად მოგვცემს აღნიშნულ ადგილს საჭირო ტერიტორიის ჯარის დასაგროვებლად. შესაძლებელია, რომ პირველად კორპუსი „ტუზემნი“ ბოლშევიკებთან ბრძოლაში მოინათლოს, რომელსაც ყავს კადრები ქართულ წითელ (არა რეგულიარ) ჯარის რიგებში და ამას უდიდესი მორალური მნიშვნელობა ექნება საქმის წარმოებისათვის, ჯარის შესაკრებად ძირითადი ნაწილი მოხალისეთა თანხიდან უნდა გადაიდოს და სასურველია კიდევ რომ უფლება გვქონდეს შემოწირულებათა შეკრებისა, რომ ამით შევავსოთ ის საჭირება, რაც სამხედრო ნაწილის შეკრების დროს აუცილებელია.

პროპაგანდის განყოფილება განსაკუთრებით კარგად უნდა იყვეს მოწყობილი, რადგან ეხლანდელ დროში პროპაგანდა არაჩვეულებრივ ძლიერი ფაქტორია, თავის ხარჯებს არ ერიდება. ეს სჩანს ბოლშევიკების ორგანიზაციულ მუშაობაში. პირადმა ჩემმა გამოცდილებამ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმების მოწყობაში მაჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აგიტაციისათვის თანხას.

ჩემ მიღებულ სარწმუნო წყაროების მიხედვით დიდ უმრავლესობას ქართველ ოფიცრებისას და სხვა ამიერ-კავკასიის ერთა ვერ გაუბედნიათ მოხალისეთა ჯარის სამფლობელოში გადმოვლა, რადგან ყალბი ინფორმაცია აქვთ მათდამი მოპყრობის შესახებ. ჩემ მიერ განზრახული კორპუსის მოწყობა გამოარკვევს მთელ ამ ხალხის ეჭვებს და ისინი იპოვნიან გზებს. რომ ისინი შევიდნენ თავის საუკუნოებრივ, მაგრამ დროებით დაკარგულ მებრძოლ ძმათა რიგებში.

კორპუსის ორგანიზაციას ეროვნული (ქართული, სომხური და თათრული) პოლკების შემადგენლობასთან ერთად მან უსათუოდ უნდა გაიმარჯვოს და მთლიანი და განუყოფილი რუსეთი უნდა შეუერთოს ძლიერ ლაუნებურ განდგომილებთან. რომელნიც დაყენებული არიან ამ გზაზე ხალხის მიერ.

მე ქართველი ვარ და ვიცი რომ მოხალისეთა ჯარის რიგში მრავალი ჩემი თანამემამულე, რომელნიც გაფანტულნი არიან „დობრ-არმიის“ ყველა ნაწილებში, მაგრამ მათი მუშაობა ამ დაქსაქსულობას გამო შეუმჩნეველია და ხალხს ისეთ რეაბილიტაციას ვერ უზამს, როგორც ჩემ მიერ განზრახული კორპუსის მუშაობა, რის დაწყებაც თქვენ აღმატებულების ნებაზე ჰკიდია.

ჩემს განკარგულებაში იმყოფება საკმაოდ დიდი რიცხვი პირებისა, რომელთაც კავშირი აქვთ ამიერ კავკასიაში მოსახლე ყველა ხალხებთან, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან დადგენ თავის ადგილებზე სამუშაოდ. ერთ-ერთ მემ ახლობელ თანამშრომლად არის არტილერიის პოლკოვნიკი თავადი სიმონ ნიკოლოზის ძე ავალოვი.

ეკატერინოდარში მოსული ოფიცერი აფხაზეთის თავადი შერვაშიძეც გვპირდება თავის ავტორიტეტიულ დახმარებას ამ დიად საქმეში ჩემთან მოდიან სხვა და სხვა კუთხიდან თხოვნები მრავალი პირთა, რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობდნენ უკრაინაში, რათა ისინი მივიღო რაზმში და ასეთი პირები. რომლებთანაც მე ვიცნობ როგორც ბოლშევიზმის მოსისხლე მტრებს, მოგროვდება ათასობით.

საჭიროამხოლოდ თანხმობა ჯარის შესაკრებად, მიღება ფულის და მატერიალური საშუალებისა და საქმის გამარჯვება უზრუნველყოფილია, რადგანაც ცოცხალ მასალაში დანაკლისი არ გვექნება.

**გენ. დრაგომიროვის რეზოლიუცია:** გენ. ნათიევს აზრს ვეთანხმები.

გადაიდოს მის განკარგულებაში მილიონ ნახევარი მანეთი, საიდანაც ნახევარი მილიონი მანეთი დაუყონებლივ მას ეხლავე მიეცეს. **გენ: დრაგომიროვი.**

აპრილი 1919 წ.

# დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ).

მარიამობისთვის 8-ს.

**ბოლშევიკური ცნობები:**

**მოსკოვი.** აგვისტოს 10 ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი,

**სამხედრო ცნობა.**

**ჩრდილოეთის ფრონტი.** ტბების რაიონში მურმანისკენ, სანდატს ტბის აღმოსნაპირზე ბრძოლაა.

**დასავლეთის ფრონტი.** კორელის ყელზე ბელოოსტროვის რაიონში მოწინააღმდეგემ ჩვენ ჯარს თავწაჭრილი ტყვიები დაუშინა. ნარვისკენ ჩვენმა ჯარმა მდ. ლუგაში ჯავშნიანი ავტომობილები გაიტანა და 2 ვერსის მანძილზე რამდენიმე სოფელი აიღო. აგვისტოს 8 ბრძოლით დავტოვეთ ქ. მინსკი. სინიავკას მიმართულებით მტერმა ჩვენ ჯარს ქ. სინიავკას აღმოსავლეთით 25 ვერსის მანძილზე დაახევინა.

**სამხრეთის ფრონტი.** პოლტავის ჩრდილოეთით 35 ვერსის მანძილზე და მირგოროდიდან 30 ვერსზე ბრძოლაა. ბოგოდუხოვის მიმართ. მოწინააღმდეგემ ჩვენ ჯარს ახტირკა და სად. სმოროდინა დაატოვებინა. სუჯა-ბელგოროდის მიმართ. სადგ. გოტნია დავტოვეთ. პავლოვისკენ მდ. ბიტიუგზე, ბობროვის სამხრეთით 40 ვერსზე ბრძოლაა. კოლაჩის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სად. ტოლკაია დაიჭირა. კამიშინის ჩრდილო-დასავლეთით 100 ვერს. მანძილზე ბრძოლაა.

**წითელ არმიელების დასაფლავება.**

**უფა.** აგვ. 6 ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს თეთრების მიერ უკან დახევის დროს დახოცილ წითელ არმიელების გვამები. დაკრძალვაში 200.000 კაცი იღებდა მონაწილეობას.

### სამხედრო ცნობა.

**№-ის არმიის შტაბი.** აგვისტოს 5. ეკატერინბურგში თეთრების მიერ დატოვებული პურის აღრიცხვა ხდება. ციმბირში გაქცეულ ვაჭრების, მიერ თავგანებებულ სავაჭროებში დატოვებული საქონელი კოოპერატივებს. გადაეცა. შემოიღეს საბარათო სისტემა. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტები უკვე მოქმედობს, სამაზრო კომიტეტები მალე გაიხსნება ქალაქში შაქარი არ არის სხვა საქონელი ბევრია.

### ბოლშევიკური ცნობები

#### წითელი ოფიცრები

**კონოტოპი,** აგვ. 2 ხარკოვის ოფიცერთა კურს-გათავებულები უკვე გამოუშვეს წითელ ოფიცრებად.

#### აჯანყება ციმბირში.

**ეკატერინობურგი.** აგვ. 4. ციმბირიდან გამოქცეულები ადასტურებენ, რომ პარტიზანულ აჯანყებებს ადგილი ჰქონდა ციმბირში. ციმბირის ზოგიერთ ადგილებში ოპოზიციონურად განწყობილ ინტელიგენტთა რიცხვი იზრდება ურალის ქარხნების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მანქანები ხელუხლებელია, თუჯით და სხვა მადანიც მრავალია.

**სამხედრო ცნობა,** 9 აგვ. **ჩრდილოეთის ფრონტი.** მეჟოზერნის რაიონში, მურმანის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. პეტროზავი ღსკის მიმართულებით ჩვენ ბრძოლით სამოზეროს რაიონში ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვევლები და ტყვეები წამოვიყვანეთ.

**დასავლეთის ფრონტი.** პსკოვის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. პროხოვის ჩრდილო-დასავლეთით სოფელი დავიჭირეთ. მინსკის რაიონში მტერმა გვაიძულა ახალი პოზიციებისაკენ დავეხია. მოლოდეჩნოს მიმართულებით ჩვენ იზიასლავლა დავსტოვეთ. ბარანოვიჩის მიმართულებით ჩვენი ჯარი იბრძვის.

**სამხრეთის ფრონტი.** სად. სევერინოვკასთან მტრის ჯავშნიანი მატარებელი დავამარცხეთ.

**აღმოსავ. ფრონტი.** ჩელიაბინსკის რაიონში სადგ. ჩისტეს მერედიანზე გამოვედით და მტრის ჯავშნიანი იატარებელს გზა გადაუჭერით.

#### „აჯანყებული ჩარჩები“.

**კიევი,** აგვ. 8, თავდაცვის საბჭო შეავზეს ვოროშილოვით, რომელიც აჯანყებულ ჩარჩების წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი შეიარაღებული ძალების მთავარ-სარდლად დაინიშნა.

#### სარატოვი განსაცდელში

**სარატოვი,** აგვ. 4. რ. კ. პარტიის სარატოვის ორგანიზაციის საერთო კრებაზე, ამხანაგის სიტყვის შემდეგ რომელიც სარატოვის დასაცავად მოუწოდებდა და სხვა ორატორების სიტყვების მიიღეს რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ აუცილებელია ქალაქი რევოლიუციონურ ძალების ფეხზე დაყენება, და მუშების გამოწვევა გადამწყვეტ ბრძოლისთვის.

#### მდგომარეობა ჰუნგრეთში

**მოსკოვი,** აგვ. 9. მიღებული ცნობების თანახმად, ერცჰერცოგ იოსებმა განაცხადა, რომ ის მზად არის ბუდაპეშტში მოკავშირეთა მისიასთან მოლაპარაკება დაიწყოს. პირველ ყოვლისა ყოფილი მოაგროვეს და 8000 კაცისაგან შემდგარი მოხალისეთა რაზმი მოამზადეს. ყოფილ მინისტრები გადააყენეს, დროებით დააპატიმრეს, მაგრამ შემდეგ გამოუშვეს. რუმინიის ჯარის სარდლობა, რომელსაც მღელვარების ეშინოდა, უბრძანა, რუმინიის გარნიზონს, მზად იყოს მისიების ყველა უფროსებმა ახალ მთავრობას განუცხადეს, რომ ისინი მას მხარს დაუჭერენ. ერცჰერცოგი იოსები სასახლეში სცხოვრობს. უნგრეთის სასურსათო მინისტრად ატლანტიის სანავოსნო მინისტრად ატლანტიის სანავოსნო საზოგადოების მთავარი დირექტორი ევგენი პოლნაი დაინიშნა ვენაში მყოფი ჰუნგრეთის ელჩმა ყველა საიდუმლო საბუთები დასწვა და ავტომობილით ღამე გაიპარა. მეორე დღეს საელჩოში ჰუნგრეთის ჟურნალისტები და ოფიცრები მივიდნენ საელჩოს მოსამსახურეებს სცემეს და სახლიდან გამოყარეს.

#### შეტაკება ტრიესტრში.

**ნაუენი,** აგვ: 9. ტრიესტში მუშებსა და იტალიის ჯარის შორის შეტაკება მოხდა. დაჭრილთა და დახოცილთა რიცხვი ჯერ არ გამორკვეულა. იტალიის მთავრობამ მრავალი დააპატიმრა.

#### რუმინიის ჯარი ბუდაპეშტში.

**ნაუენი,** აგვ. 9 ბუდაპეშტში 70,000 რუმინიის ჯარისკაცი შევიდა.

**ვენა,** აგვ. 5 ხმებია, რომ თითქოს სცეგედინის მთავრობამ უნგრეთის გვირგვინი მეფე ფერდინანდს შესთავაზა.

#### ქვ ნახშირის უქონლობა გერმანიაში.

**ნაუენი,** აგვ. 9. გერმანიაში ქვანახშირის უქონლობის გამო მთელი მთელი რიგი მატარებლებისა გააუქმეს. სამგზავრო მატარებლებში ძალიან შეამცირეს რესტორანი-ვაგონები დასაძინებელი ვაგონები.

#### ბინების სიმცირე ბერლინში.

**ნაუენი,** აგვ. 8. ბერლინში ბინების სიმცირის გამო ეხლა დიდი სიფრთხილით სარგებლობენ შენობებით. ყოფილ ახალშენების სამინისტროს შენობა კერძო პირთ გადაეცათ.

## ზესტაფონის ქალაქის საბჭოს.

დიდი ხნის—სამი თვის—დუმილის შემდეგ მარიამობისთვის 7 შესდგა ქალაქის საბჭოს კრება. გასაოცარი და გაუგებაში იყო, რათ აგვიანებდენ ამდენს ხანს კრების დანიშვნას, როცა წინადვე შემუშვებული რეგლამენტაციის ძალით ყოველს ორ კვირაში უნდა მომხდარიყო საბჭოს მორიგი კრება და ჩვენის თვალით ვნახეთ დარბაზში გამოკრ ლ საბჭოს პრეზიდიუმისაგან ხელწერილი თვეების: მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში, რომელ რიცხვში—არა ნაკლებ ორისა თვეში—იყო კრება დანიშნული. სხვა არა იყოს რა ძლიერ საჩქაროდ მოთხოვნილი იყო აგრარული საკითხზე გადაჭრილი პასუხის გაგზავნა სადაც ჯერ არს და ამ მიზნის განსახორციელებლად არჩეულ იყო კომისია, მანამდის კი სასწრაფოთ უნდა ეცნობებიათ მთავრობისთვის, რომ გამომუშვებული დადგენილება ამ საგანზე- შეძლებისა და გვარად, წარდგენილი იქმნება. ამ კითხვის განხილვას ჯერ არც კომისია და არც საბჭო არ შესდგომია და იგი მძიმე ლოდს ქვეშაა ჯერაც მოქცეული, თუმცა სხვ. ქალაქებმა უკვე დიდი ხანია გაგზავნეს თავიანთი დასკვნანი, როგორც დაინახავდით „საქართ. რესპუბლიკიდან“.

ზესტაფონის საბჭოს დასაბამიდან აქამომდე ცალმხრივობა დასჩემოდა: მისი გამგეობა ერთს კაცზეა დამდგარი ყოველთვის თითქმის, ხოლო ამ წლის საბჭოს შემადგენლობამ გამგეობის არჩევნები დღემდი არ მოახდინა. კანონის ძალით, პარტიული ძალთა განწყობილების მიხედვით, ს.-დ. კრატებს უნდა აერჩიათ თავისას მხრით ორი წევრი გამგეობისა, ერ.-დემოკრატებს კი წილად ერთი წევრი ხვდათ, მაგრამ, დახეთ უბედობა აქაც გამოჩნდა რაღაჯ წაქეჯ-უკუჯექობა და გაბატონებულ პარტიის ხმოსნები თანახმა იყვენ ერ.-დემოკრატებს წამოეყენებიათ თავიანთი მხრით გამგეოგის მესამე წევრის კანდიდატი იმპირობით, რომ ს.-დემ. თუ მოწონებოდათ და ბოლოს გაუსინჯავდენ, დადასტურს მისცემდენ, წინააღმდეგ შემთხვევაში და ამ მესამე წევრის არჩევის ნებას თვითონ იტყობდენ. ე. ი. არ აირჩევდენ მას ვინც მათ არ ენდომინებოდათ ეროვნულ-დემოკრატებში და ან მათ შორს გამიყვანდენ ასეთს. ეროვნულ-დემოკრატები ასეთ კომბინაციას, რასაკვირველია არ დაუთანხმდენ და დიდი ხნის კამათის შემდეგ როცა არაფერი გაუვიდათ დასტოვეს დემონსტრაციულად დარბაზი საბჭოს კრების დროს და წავიდენ.

დანარჩენმა ხმოსნებმა თითქმის აქ არაფერია სიცილით უპასუხეს იმათ გამოსვლბს და განაგრძეს კრება. ამას შემდეგ მეორეთ დანიშნულს კრებაზე მოწვეულმა ერ.-დემ. კვლავ წაუყენეს თვისი კანონიერი მოთხოვნილება გამგეობის არჩევნების საქმეში, მაგრამ ამ დროსაც იგივე უარი მიიღეს, რის შემდეგ პარტიის ხმოსნებმა გადასწყვიტეს, მიუხედავად მათზე ასეთის მოქცევისა, დასწრებოდენ კრებებს, თუმცა მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო, როგორც მოგახსენებთ და მხოლოდ მარიამობისთვის 7 გაიმართა საბჭოს კრება.

დღიურ წეს რიგში ბევრი კითხვები იყო განსახილველი და გადასაჭრელი; სხვათა შორის გამგეობის არჩევანიც, რის შესახებ ერ.-დემ. ხმოსნებმა განაცხადეს: რადგან ჩვენ არ გვეგონა თუ ოდესმე იქნებოდა კრება და როცა გაიმართა მხოლოდ რამოდენიმე საათის წინ გვეუწყა, ამისათვის მოვითხოვდით მეორე საჩქარო კრებამდი გადადებულ. იყო ეს საკითხით, რომ მზად მოვსულიყავითო. ამ განცხადებასაც გვერდი აუარეს მენშევიკ ხმოსნებმა დაარჩინეს გამგეობა: მოურავად მოურავის მოადგილე ნ. ჩხეიძე, მოურავის მოადგილედ ბაქრაძე და მესამე გამგეობის წევრად ბ. ცქიტიშვილი.

დიდი კამათი გამოიწვია ამ კრებაზე საქალაქო სკოლების რეორგანიზაციამ. ამაზედ ასეთი დადგენილება გამოიტანეს: ყველა დაბალი და მაღალი პირველ დაწყებითი სკოლები ირიცხებიან საქალაქოდ ისე კი, რომ მომვლელი სამოსწავლო წლიდან მათში მიღებულ იქმნენ მხოლოდ ქალაქის მკვიდრთა შვილები, შემდეგი განყოფილებათა მოწაფეებს კი მიეცეს წინადადება, აქაურებს გარდა, გადავიდენ თვის თვისი სოფლის სკოლებში, თუ იქ ადგილი ექნებათ. ყოფილი ორ კლასიანი ე. წ. „ნორმალური“ სკოლა, რომლის მიზანი იყო, წინეთ როგორც შენიშნა ხმოსანმა ანთაძემ, გრუსების პოლიტიკის შეტანა უნდა დარჩეს ერთკლასიანად. ამ სასწავლებელს ჭირისუფლად გამოსჩენია ერობა, რადგან, ვითომც, იგი მთელი შორაპნის მაზრელებისაგან იყოს დაარსებული და შენახულიო, თუმცა დამტკიცდა წინააღმდეგ, რომ იგი მხოლოდ ზესტაფონისაა, და, თუნდაც კიდეც რომ მიელოთ მისი შენობის აგებაში განაწილება სოფლელებსაც, ეს კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ იგი საერობო სკოლა იყოსო. ყოველივე ორკლასიანი, რომელიც რაღაც მიზეზისა გამო ოთხკლასიანად გადაუკეთებია მის გამგეს და პროგიმნაზიად მოუნათლავს, რომელშიაც 100 მოწაფეა და შვიდი მასწავლებელი, უნდა გადაკეთდეს ოთხკლასიან პროფესიონალურ სასწავლებლად, რის შესახებ დაწვრილებითი გეგმა უნდა წარუდგინოს საბჭოს სასკოლო კომისიას.

ჯამაგირის მომატების შესახებ გამგეობას მისი შტატის, მილიციის და მასწავლებელთათვის დიდ ხანს ილაპარაკეს ხმოსნებმა. ხმოსანი გვალია თანახმაა მოემატოს ჯამაგირი ყველას თუ წინდაწინვე საფინანსო კომისიაში გატარდება ეს კითხვა დასტურის მისაღებად. უარჰყვეს ეს წინადადება და გადასწყვიტეს იქვე მომატებოდა ყველას ჯამაგრი სიძვირის გამო.

ერთ-ერთ დღიურ წესრიგის საგნად იყო ე. წ. კომისიების „[illegible]“. დღემდი ერ.-დემ. ხმოსნები არცერთს კომისიაში არ ერიე[illegible] კრებაზე[illegible] მოითხოვეს თვითეული მათი ხმოსანი სამოთხ კომისიებში დაინიშნოსო და კიდეც აირჩიეს. სხვა კომისიებს შორის დამფასებელ კომისიას წელს არ გაუნძრევია ხელი და თხოულობდენ ამ კომისიამ გადადგას ნაბიჯი რადგან დღემდი ქალაქის ქონება უძრავი შეუფასებელია. წარსულ წელში უმეტეს ნაწილად ერ.-დემ. ხმოსნები მუშაობდენ ამ კომისიაში და ნახევარი ქალაქიც აიწერა. ახლა კი, რადგან არაფერი გაკეთებულა ამ მხრივ, მოითხოვეს გასამრჯელო მიეცეს კომისიას, რომ უსათუოდ ამ წელიწადში დასრულდეს მუშაობა.

გადაათვალიერეს ნიხრი და მოუმატეს ფასი ხორცზე, სხვა სანოვაგეზე კი, მაგ. ყველზე, კვერცხზე შეუძლებლად სცნეს ნიხრის დადება.

აგრარული და სხვა იმ კრებაზე გასარჩევი საყურადღებო საკითხები დაგვიანებისა გამო გადაიდო შემდეგი კრებისათვის.

ეფრემ მცირე.

## კორესპონდენცია.

**მანდიკორის თემი.** მანდიკორის თემი ოკრიბის შუა გულია. აქაური ცხოვრება დამახასიათებელია სხვა მახლობელი თემებისათვისაც.

აქაურ მცხოვრებთა გაჭირვება ძველი ამბავია, წელს კი პირდაპირ აუწერელია. ჯერ ლეჩხუმიდან გადმოსულმა ბოლშევიკებმა, შემდეგ მათ წინააღმდეგ გაგზავნილმა სამხედრო ნაწილებმა მძიმე კვალი დააჩინა იქაურთ. როგორც იქნა განიდევნა ბოლშევიკები და მას შემდეგ იწყება მორჩაძის და მილიციის თარეში... ჯერ ბაქრაძის და შემდეგ ადეიშვილის მობრძანება დამახასიათებელი მომენტებია აქაური ხალხის შევიწროების ისტორიიდან... ცუდმა ამინდებმა ხალხის გაჭირვება კიდევ უფრო გაართულა. თუმცა მუშაობა ადრე დაიწყეს მაგრამ გამუდმებულმა წვიმებმა ხვნა-თესვის საქმე შეიფერხა და დააგვიანა. დათესილი ყანების სივრცე წელს ნაკლებია. ვენახს თუმცა გამოტანილი კარგად ჰქონდა, მაგრამ სიცივეებმა და წვიმებმა ძალზედ დააზიანა, ასე რომ ღვინის მოსავალი წელს ნაკლები იქნება.

10 აგვისტოს, კვირას მანდიკორის თემის კრებას გამოეცხადა ერთდროული მიწის გადასახადების რაოდენობა. ხალხს ძალიან ედიდა და დაადგინა ამ თემის წვრილმა ერთეულმა იქონიოს ამის შესახებ მსჯელობა და ითხოვოს სადაც ჯერ არს გადასახადების შემცირება. წვრილი ერთეულის კრება მოხდება კვირას 20 აგვისტოს.

შალ. აბაშიძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

## მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

1919 წ. 1 ივლისიდან.

### ქუთაისში მოდის.

#### თბილისიდან.

| | | |
|---|---|---|
| პირდაპირი | № 3—5 ს. და 50 წ. | დილით |
| ჩქარი | № 1—7 — 80— | — |
| საფოსტო | № 3—7 ს. — 40— | საღამ. |
| სამგზავრო | № 15-1 ს. — 50— | ღამით |

#### ბათომიდან.

| | | |
|---|---|---|
| პირდაპირი | № 72—1 ს. და 30 წ. | დღით |
| სამგზავრო | № 6—5 — — — | დილ. |
| ჩქარი | № 2—1— — 50 წ. | ღამ. |

#### ფოთიდან.

| | | |
|---|---|---|
| პირდაპირი | № 36—8 ს. და 28 წ. | დილ. |
| საფოსტო | № 4—12 ს, — 55 წ. | — |

#### ტყიბულიდან.

| | | |
|---|---|---|
| სამგზავრო | № 81—10 ს. და 20 წ. | დილ. |
| საფოსტო | № 3— 5 ს. — 30 წ. | სალ. |

### ქუთაისიდან გადის.

#### თბილისისაკენ.

| | | |
|---|---|---|
| პირდაპირი | № 12 -11 ს. და 47 წ. | საღამ. |
| ჩქარი | № 2—10 ს. და 2 წ. | საღამ. |
| საფოსტო | № 4—10 ს. — 10 წ. | დილ. |
| სამგზავრო | № 6— 3 ს. — 17 წ. | ღამით |

#### ბათომისაკენ.

| | | |
|---|---|---|
| პირდაპირი | № 44—4 ს. და 40 წ. | დღით |
| სამგზავრო | № 5 3 ს. — 30 წ. | ღამით |
| ჩქარი | № 1—6 ს. — — წ. | დილ. |

#### ფოთისაკენ.

| | | |
|---|---|---|
| პირდაპირი | № 35—3 ს. და 25 წ. | დღით |
| საფოსტო | № 3—5 ს. და 50 წ. | დილ, |

#### ტყიბულისაკენ.

| | | |
|---|---|---|
| საფოსტო | № 4—7 საათზე | დილას. |
| სამგზავროს | № 82—4 ს. 4 წ. | საღამოსი |

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.